ნასყიდობის ხელშეკრულება

ქ. თბილისი **”…..” ოქტომბერი 2023 წელი**

ერთის მხრივ, სს ”საქართველოს რკინიგზა ” (საიდენტიფიკაციო №202886010), შემდგომში- ”გამყიდველი”, წარმომადგენელი მისი გენერალური დირექტორის დავით ფერაძის სახით და მეორეს მხრივ ..... (ს/კ .....), შემდგომში ”მყიდველი”, წარმომადგენელი მისი ..... სახით.

სს ”საქართველოს რკინიგზის” დირექტორთა საბჭოს 2023 წლის ..... დადგენილების, სს ”საქართველოს რკინიგზის” სამეთვალყურეო საბჭოს 2023 წლის ..... №..... სხდომის ოქმის (საკითხი N.....), სს საქართველოს რკინიგზის“ მიერ 2023 წლის ..... გამოცხადებული №..... (....) (განაცხადის N.....) ელექტრონული აუქციონის (ინტერნეტ-აუქციონი) შედეგების საფუძველზე და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ნასყიდობის ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია სს ”საქართველოს რკინიგზის” მიერ ელექტრონული აუქციონის (ინტერნეტ-აუქციონი) წესით, ლოტი N--ით განსაზღვრული - ---------- კგ ---------- ფერადი ლითონის ჯართის რეალიზება.

1.2. ნასყიდობის ხელშეკრულების პირობების შესაბამისად ”გამყიდველი” გადასცემს ”მყიდველს” საკუთრების უფლებას ამ მუხლის პირველ პუნქტში განსაზღვრულ ქონებაზე, რომელიც განთავსებულია დანართი N1-ში მითითებულ ლოკაციებზე.

1.3. ,,მყიდველისთვის” ნასყიდობის საგნის გადაცემა ამავე ხელშეკრულების 5.1 პუნქტით განსაზღვრული პირობის გათვალისწინებით მოხდება აწონვის/მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, რაც დადასტურდება მხარეთა უფლებამოსილი პირების მიერ.

2. ხელშეკრულების ფასი

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს ..... ლარს.

3. ანგარიშსწორების პირობები

3.1. მყიდველი ვალდებულია ხელშეკრულების 2.1 პუნქტით გათვალისწინებული თანხა ..... ლარი, ”ბე-ს” თანხის ----------ლარის გამოკლებით, ჩარიცხოს სს ”საქართველოს რკინიგზის” ანგარიშსწორების ანაგარიშზე:
ს.ს ”თიბისი ბანკი”
ბანკის კოდი: TBCBGE22;
ანგარიშის ნომერი: GE93TB1100000112467112
ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა, 2023 წლის ..... 24:00 საათამდე;

3.2 საბოლოო ანგარიშსწორება ”მყიდველსა” და ”გამყიდველს” შორის განხორციელდება სს ”საქართველოს რკინიგზის” მიერ ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის შესაბამისად, სპილენძის და ბრინჯაოს ჯართის გადაწონვის დასრულებიდან 15 საბანკო დღის ვადაში. კერძოდ, თუ სპილენძის/ბრინჯაოს ჯართის აწონვის შედეგად დადგინდა ხელშეკრულებით განსაზღვრულზე მეტი ან ნაკლები ოდენობა, ,,მყიდველი” - ,,გამყიდველს”/,,გამყიდველი”-,,მყიდველს” აუნაზღაურებს თანხას საბოლოო სახელშეკრულებო ფასის პროპორციულად;

3.2. ”მყიდველის” მიერ გადახდილი ”ბე”-ს თანხა ---------- ლარი ჩაითვლება გასაყიდი ქონების ფასში საბოლოო ანგარიშსწორებისას;

3.3. თუ "მყიდველი" არ გადაიხდის ნასყიდობის საგნის სრულ ღირებულებას ხელშეკრულების 3.1 პუნქტით დადგენილი ოდენობითა და ვადაში, №..... (განაცხადის N.....) ელექტრონული აუქციონის (ინტერნეტ-აუქციონი) შედეგები უქმდება და "მყიდველს" არ გადაეცემა საკუთრების უფლება ქონებაზე და **არ დაუბრუნდება** გადახდილი "ბე"-ს თანხა ---------- ლარის ოდენობით.

4. ნასყიდობის საგნის გატანის ხარჯები

4.1. "მყიდველი" საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულებით შეძენილი ქონების (ფერადი ლითონის ჯართის ----------) აწონვას (დაკალიბრებულ სასწორზე), რომელსაც გააჩნია შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემული სერთიფიკატი), დატვირთვა-გადმოტვირთვასა და ტრანსპორტირებას;

5. საკუთრების უფლების გადასვლა

5.1. შეძენილ ქონებაზე "მყიდველი" საკუთრების უფლებას იძენს ხელშეკრულების საერთო ღირებულების სრულად გადახდისა და აწონვის შედეგად შედგენილი აწონვის აქტის გაფორმებისას. ამასთან მხარეთა შორის ხელშეკრულების დასრულებისას გაფორმდება საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი.

5.2. ,,გამყიდველის" მხრიდან აწონვის/მიღება-ჩაბარების/ორმხრივი აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილია კომისია, რომელიც შეიქმნილია გენერალური დირექტორის 2023 წლის ..... ბრძანებით.

6. მხარეთა ვალდებულებები

6.1. "გამყიდველი" ვალდებულია "მყიდველს" გადასცეს წინამდებარე ხელშეკრულების 1.1 პუნქტში განსაზღვრული ქონება, ამ უკანასკნელის მხრიდან ნასყიდობის ფასის სრულად გადახდის შემდეგ;

6.2. "მყიდველი " ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 (ორი) თვის ვადაში სრულად უზრუნველყოს შეძენილი ქონების გატანა "გამყიდველის" ტერიტორიიდან და გატანის პროცესში მისი გადაწონვა, ქონების განთავსების ტერიტორიის მიხედვით, უახლოეს დაკალიბრებულ სასწორზე, 5.2 პუნქტით განსაზღვრული კომისიის წევრების თანდასწრებით;

6.3. ყოველი გადაწონვის პროცედურის დასრულებისას, მხარეები ვალდებულნი არიან გააფორმონ წინამდებარე ხელშეკრულების მე-5 პუნქტით გათვალისწინებული აწონვის აქტი, რომელშიც აღინიშნება „გამყიდველის" მიერ, „მყიდველისთვის" გადაცემული სპილენძის/ბრინჯაოს ჯართის წონა;

6.4. ხელშეკრულების 6.2 პუნქტის მოთხოვნათა შეუსრულებლობის შემთხვევაში, ,,მყიდველს" დაეკისრება პირგასამტეხლო, გასატანად დარჩენილი ქონების საბოლოო ღირებულების 0.1 %, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6.5. „გამყიდველი" უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება იმ შემთხვევაში თუ 6.4 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლო გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%.

6.6. მხარეები თანხმდებიან, რომ რეალიზებულ ---------- ჯართის აქტივში რეალიზებულ წონასა და ფაქტიურ წონას შორის (გადაწონვის შედეგად) სადაშვები სხვაობა შესაძლებელია იყოს 10%-მდე რაც გამოვლინდება ჯართის მარაგზე ან/და მისი დატვირთვის შედეგათ მძიმე ტექნიკას (სატრანსპორტო საშუალებას ან/და სხვა) გაყოლილი სხვადასხვა მასალა (ქვიშა/ბეტონი/ნაგავი და სხვა), რომელიც არ ჩაითვლება რეალიზებული აქტივის სახეობაში, რაზეც მხარეთა შორის შედგება დამატებითი დოკუმენტი (ორმხრივი აღწერის აქტი);

7. დავის გადაწყვეტა

7.1. მხარეები ეცდებიან ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა გადაჭრან ურთიერთმოლაპარაკების გზით;
7.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.

9. სხვა პირობები

9.1. თითოეული მხარე ვალდებულია მკაცრად დაიცვას ხელშეკრულების პირობები;
9.2. მყიდველის მიერ ხელშეკრულების განსაზღვრული პირობების დარღვევით და/ან არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული ზიანი ანაზღაურდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.
9.3. ხელშეკრულების ადმინისტრატორად განისაზღვროს ..... (მობ: .
9.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 3 თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად.
9.5. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

მხარეთა რეკვიზიტები

”გამყიდველი”	**”მყიდველი”**
სს „საქართველოს რკინიგზა“ ს/კ 202886010 მის: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი N15 _____ გენერალური დირექტორი დავით ფერაძე	. ..... ს/კ ..... მის: ..... _____ დირექტორი .